ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

31 ოქტომბერი, შაბათი, 1992 წ.
№ 64 (10721) ● ფასი 2 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ორი ქართველი შიშაპანგმაზე

ქუთაისელი მთამსვლელი მერაბ ნემსიწვერიძე მონაწილეობდა მთამსვლელთა საერთაშორისო ექსპედიციაში ჰიმალაის მთებში. ამ დღეებში ექსპედიცია წარმატებით დასრულდა. დალაშქრულია მსოფლიოს ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი შიშაპანგმა — 8157 მეტრი ზღვის დონიდან. მერაბმა ასვლა განახორციელა ჟანგბადის ბალონის გარეშე.

ქუთაისის ალპიურ კლუბ „ედელვაისის“ პრეზიდენტის ავთანდილ კენჭაძის ეს ინფორმაცია მოგვაწოდა გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორმა თამაზ ხარაბაძემ.

მინაწერი: ამ საერთაშორისო ექსპედიციაში (მონაწილეთა შორის იყვნენ მთამსვლელები: იტალიიდან, შვეიცარიიდან, საფრანგეთიდან, კორეიდან, იაპონიიდან, რუსეთიდან, ბელარუსიდან) მერაბ ნემსიწვერიძის გარდა მონაწილეობდა კიდევ ერთი ქართველი მთამსვლელი — თბილისელი გია თორთლაძე. მწვერვალი მანაც ჟანგბადის ბალონის გარეშე დალაშქრა.

ქართველი ათლეტების დესპანი ყაზახეთის წარმომადგენელი იქნება

ბირმინგემში (დიდი ბრიტანეთი) 19-21 ნოემბერს ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი ათლეტიზმის ძალისმიერ სამჭიდში — პაუერლიფტინგში. ჩემპიონატს წინ უსწრებს პაუერლიფტინგის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომლის დღის წესრიგშიც მე-6 საკითხია ჩვენი გაწევრიანება პაუერლიფტინგის საერთაშორისო ფედერაციაში.

მოწვევა დაგვიანებით მოვიდა, ხოლო უსახსრობის გამო, ვერც საქართველოს ათლეტთა ნაკრები გუნდი გაემგზავრება ბირმინგემში. ჩვენი წარმომადგენლების გარეშე, ცხადია, არც გაწევრიანების საკითხს განიხილავდნენ. ამიტომ გადაწყდა სრულუფლებიანი წარმომადგენლის ფუნქცია კონგრესზე მიენდოს ყაზახეთის მისიას, რომელსაც უკვე გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის კახი ასათიანისა და რესპუბლიკის ათლეტიზმის ფედერაციის პრეზიდენტ რობერტ ურჯუმელაშვილის ხელმოწერილი მინდობილობა. დოკუმენტები კი ფაქსით გაიგზავნა. ორიგინალს ჩვენი ნდობით აღჭურვილი ყაზახეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ კუდრიავცევი წარუდგენს კონგრესს.

მარინა გაგილაია

ტურნირის სამი განზომილება

ოთხშაბათს თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოეწყო საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 52-ე პირველობის საზეიმო გახსნა და მონაწილეთა წილისყრა. როგორც ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა თენგიზ გიორგაძემ გვითხრა, ასპარეზობაში შვეიცარიული სისტემით ჩემპიონობისათვის იბრძოლებს 50-მდე მონაწილე. ამასთან, შეჯიბრების მიზანია შეარჩიოს რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატები ევროპის გუნდური პირველობისათვის (იგი ნოემბრის დამლევს დაიწყება) და მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო შეჯიბრებისათვის.

ვულოცავთ დირსეულთ!

ამ კვირაში გამოქვეყნდა 11 ოქტომბრის საყოველთაო-საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები. დეპუტატებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც საზოგადოებრივი საქმიანობით დაკავშირებულნი არიან რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობასთან. ეს დეპუტატებია (გვარები მითითებულია ანბანით):

გოდერძი ველიჯანაშვილი — ასოციაცია „ფალავნის“ პრეზიდენტი;

დავით კუპრეიშვილი — საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს იურისტი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის წევრი;

რომან მელია — წყალსათხილამურო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდენტი;

ვახტანგ მუხელიანი — საქართველოს მკლავჭიდელთა ფედერაციის პრეზიდენტი და ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი;

ამირან ნადარაია — მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ მათ და ვიმედოვნებთ, რომ რესპუბლიკის ახალი პარლამენტის წევრები კვლავაც ილვაწებენ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი წინსვლისათვის.

1993 წელს ნიდერლანდებში გაიმართება ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები

იხ. მე-2-3 გვ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

გუშინ, 30 ოქტომბერს, გაიმართა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეცამეტე ტურის მატჩები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის. თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე, „მრეტებმა“ უმასპინძლა ხაშურის „ივერიას“. მატჩი დამთავრდა ხაშურელთა გამარჯვებით — 1:0.

• • •

რესპუბლიკაში, კერძოდ მის დასავლეთ რეგიონებში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში მოასპარეზე გუნდები: ხობის „კოლხეთი“, ოჩამჩირის „ამირანი“ და გალის „მზიური“ ვერ ახერხებდნენ მეოთხე რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილეობას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეს გუნდები გამოეთიშნენ მიმდინარე გათამაშებას. მათ მომავალ, 1993-1994 წლების მეხუთე ჩემპიონატში შეენახებათ ადგილები, მიმდინარე ჩემპიონატში კი ამ გუნდების შედეგები გაუქმდა.

ელვა-ინფორმაცია

ბელარუსში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პირველი ადგილი დაიკავა საგარეჯოელმა თამაზ ყაზარაშვილმა (52 კგ).

ამერიკელი ასე არ ფიქრობს...

უკანასკნელი ტაიმ-აუტის შემდეგ ბორის სპასკი კვლავ მიუჯდა მაგიდას „საუკუნის მატჩ-რევანშის“ 25-ე პარტიის სათამაშოდ. ეტყობა, ფიშერმა უკეთ ისარგებლა დასვენებით: თეთრი ფიგურებით მან სიცილიური დაცვის ღია ვარიანტი აირჩია. სპასკიმ პასუხად ე. წ. შევინინგენის სისტემას მიმართა: უკვე 25-ე სვლაზე აშკარა გახდა, რომ თეთრების შეტევა სულ უფრო ეფექტურ ხასიათს იღებდა — იმის გამო, რომ სპასკიმ მხედრების გაცვლის შანსი მომცა, თავად კონტრშეტევის ყოველგვარი შანსი დაკარგა — თქვა პარტიის მოგების მერე ფიშერმა. ამ აზრის სისწორე იუგოსლაველმა დიდოსტატმა ბორა ივკოვმაც დაადასტურა: „ეს იყო უხეში შეცდომა. ვერ გამიგია, როგორ გადადგა ბორისმა ეს ნაბიჯი“. ასეა თუ ისე, ანგარიში გახდა 9:4 ფიშერის სასარგებლოდ.

როგორც ჩანს, სპასკი „გამაცეცხლა“ წაგებამ და 26-ე პარტიაში ანგარიშში სხვაობა ისევ შეამცირა — 5:9, მაგრამ საეჭვოა მან შეძლოს თამაში გარდატეხის შეტანა და მეტოქის წამოწევა. სხვათა შორის, თუ ეს მოხდა, ანგარიშზე 9:9 მოწინააღმდეგენი საპრიზო ფონდს (5 მლნ. დოლარი) თანაბრად გაინაწილებენ. მაგრამ, ცხადია, ასე არ ფიქრობს ამერიკელი დიდოსტატი, მას ხომ ერთი მოგებაღა აშორებს 3,5 მილიონი დოლარისგან.

27-ე პარტია დღეს უნდა გათამაშდეს.

თავდაცვის ფონდში

საქართველოს თავდაცვის ფონდში განათლების სამინისტროს ბავშვთა—მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტსკოლის თანამშრომლებმა (დირექტორი ი. ფხაკაძე) შეიტანეს ხელფასიდან დანაზოგი 23.000 მანეთი.

რვეულები, კონდიციონერები, ტანსაცმელი...

„ლელოს“ სპონსორი — საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო საწარმოო კომერციული ცენტრი (გენერალური დირექტორი ვახტანგ მიქელაძე) და ამ ცენტრის ბაზა (დირექტორი ანზორ დაუთაშვილი) მსურველებს სთავაზობს: სასკოლო რვეულებს (დიდი რაოდენობით), ტანსაცმელს და ფეხსაცმელს (მათ შორის ბავშვებისას), კონდიციონერებს და ელექტროგამთბობებს. მისამართი: მეტრო „ისანი“, ბაზრობის ტერიტორია.

გზა ევროპის ჩემპიონატისაკენ

ხელბურთელების წილისყრა

ხელბურთში ევროპის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში (ვენა) გაიმართა კონტინენტის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩების წილისყრა. ჩვენი ქალების ეროვნული ნაკრები გამოვა II ქვეჯგუფში, სადაც მათი მეტოქეა რუმინეთის, შვეციისა და შვეიცარიის ნაკრებები. მატჩები გერმანიაში ჩატარდება.

ვაჟები მოხვდნენ IV ჯგუფში უნგრეთის, ნორვეგიის, სლოვენიისა და ლიტვის წარმომადგენლებთან ერთად. ამ ჯგუფის შეხვედრები მოეწყობა პორტუგალიაში.

ჯილდოდ — 100 ათასი

ინგლისელმა დიდოსტატმა მაიკლ ადამსმა მოიპოვა ტილბურგის დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის პირველი პრიზი — 100 ათასი გულდენი, რაც 59 ათასამდე დოლარს უდრის. ფინალში მისი მეტოქე იყო ბორის გელფანდი (ბელარუსი). მათი მატჩის ორივე ძირითადი პარტია ყაიმით დასრულდა. დაინიშნა კიდევ ორი დამატებითი, ოღონდ ამჯერად შემოკლებული დროით. გამარჯვებული ვერც დამატებითმა პირველმა შეხვედრამ გამოავლინა. ადამსმა მეტოქის წინააღმდეგობა გატეხა მეორე პარტიაში. მოგაგონებთ, რომ ასპარეზობაში, რომელიც თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა ოლიმპიური სისტემით, კასპაროვის გარდა თანამედროვეობის ყველა საუკეთესო მოჭადრაკე მონაწილეობდა.

გვიჭირს, მაგრამ მაინც ვახერხებთ

გუშინ, პორტუგალიიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს მოფარიკავეთა დელეგაცია, რომელიც პირველად მონაწილეობდა დამოუკიდებლად ევროპის ჩემპიონატში. „ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, წარსულში ცნობილ მოფარიკავეს მორის სახვაძეს, რომელიც, როგორც მსაჯი, ახლდა ჩვენს დელეგაციას.

● **თავდაპირველად გუნდის შემადგენლობა გაგვაცანით.**

— წავიყვანეთ სამი რაპირისტი — ვლადიმერ აფციაური, გიორგი კვარაცხელია, და... იცით, რა? მესამე სპორტსმენი ნიკოლოზ ლექავა გამგზავრების წინ ავად გახდა, იგი შეცვალა რაპირისტთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გიორგი აბაშიძემ. ერთიც ხმლით მოფარიკავე გვახლდა — არჩილ ლორთქიფანიძე.

● **მწვრთნელის სპასპარეზოდ დაშვებასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეიქმნა?**

— არა, რაპირაში სამი მონაწილე გამოდიოდა, ვის ვანდობდით იარაღს ეს ჩვენი საქმე იყო.

● **ბარემ აქვე გვითხარით, როგორ იასპარეზეს რაპირისტებმა.**

— ჯერ ის ვთქვათ, რომ ჩემპიონატში საერთოდ ევროპის 25 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. რაპირაში კი 18 ქვეყნის 42 მოფარიკავე გამოვიდა ბილიკზე, მათ შორის იყო ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი პირად პირველობაში ბელარუსი ალექსანდრე რომანკოვი, მისი თანამემამულე, ოლიმპიური ჩემპიონი ბორის კარეცკი და სხვა ცნობილი სპორტსმენები. ასე რომ, ტურნირი დაძაბული გამოდგა. ჩვენგან ყველაზე უკეთ იასპარეზა კვარაცხელიამ, რომელმაც წინასწარ შეხვედრებში თვით რომანკოვიც კი დაამარცხა და საბოლოოდ XIII იყო, რომანკოვი XII ადგილზე გავიდა. ლორთქიფანიძემ ხმალში მსოფლიო ჩემპიონს ფრანგ დელრიოს სძლია, ფინალში გასასვლელი ბრძოლა ორჯერ წააგო, საბოლოოდ კი IX ადგილს დასჯერდა.

● **როგორ აფასებთ ჩვენი მოფარიკავეების გამოსვლას ლისაბონში?**

— ასეთ დონის შეჯიბრებაში, ცხადია, არასდროს გვიასპარეზია დამოუკიდებლად. მეტიც, აფციაურის გარდა, ყველა პირველად გამოვიდა ევროპის ჩემპიონატში. მინდა გითხრათ, რომ დიდი ხანია არ გვაქვს სავარჯიშო პირობები, შესაბამისი ელექტროაპარატურა (ჩემპიონატის დღეებში ელექტრონული ხმლის ნიღაბიც კი ვინათხოვრეთ მასპინძლებისგან), უჭირთ რაპირისტებსაც, ჩემპიონატზე საერთოდ ვერ წავიდოდით ვალუტის უქონლობის გამო. ბარსელონაში მე მოველაპარაკე პორტუგალიის ფარიკაობის პრეზიდენტს გენერალ შიდო როდრიგესს და მან, როგორც გამონაკლისი, გაიღო ლისაბონში ჩვენი ხარჯები. ეს კაცი იქვე გამართულ კონგრესზე ევროპის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. გზის თანხა (მანეთებში) ჩვენმა სამინისტრომ გამოგვიყო. ასე რომ, პრობლემებიდან გამომდინარე, საქართველოს მოფარიკავეების შედეგები დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. რაც მთავარია, ჩვენი რესპუბლიკისთვის ამ მძიმე დროს როგორღაც მაინც ვახერხებთ არ მოვწყდეთ მსოფლიო სპორტულ ინტეგრაციას.

1993 წლის ივლისში საქართველოს სპორტსმენები პირველად გამოვლენ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების ასპარეზობებში

ევროპის ისტორიაში მნიშვნელოვან თარიღად შევა მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები. ამას მოწმობს ის მზარდი ინტერესი, რასაც ევროპის ოლიმპიური კომიტეტები ამ კომპლექსური სპორტული ფესტივალისადმი იჩენენ. ნიდერლანდებისა და ვალკენ სვაარის მცხოვრებლებმა განსაკუთრებით უნდა იამაყონ, რადგან მათ ქვეყანას და ქალაქს ხვდა წილად უმასპინძლოს ახალგაზრდების ამ შესანიშნავ ასპარეზობას.

ევროპის ახალგაზრდობის ეს პრესტიჟული სპორტული ფესტივალი ტარდება სოკის ეგიდით 1993 წლის 3-9 ივლისს და მთელი ევროპიდან თავს მოუყრის საუკეთესო გოგონებსა და ბიჭებს.

იმედი გვაქვს, პრესითა და ტელევიზიით ასპარეზობის ფართოდ გაშუქება დიდ სარგებლობას მოუტანს არა მხოლოდ ნიდერლანდებს, არამედ მთელს ევროპას.

მინდა საუკეთესო სურვილები გამოვხატო და წარმატება ვუსურვო ორგანიზატორებს და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების ყველა მონაწილეს.

ხუან ანტონიო სამარანჩი,
სოკის პრეზიდენტი.



ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების ორგანიზების საწყისი ეტაპიდან ამ პროცესში ჩართული იყო ნიდერლანდების ოლიმპიური კომიტეტი. პანევროპული ახალგაზრდული სპორტული ფესტივალის ჩატარების იდეას საფუძველი ჩაუყარეს ჩვენმა ბულგარელმა მეგობრებმა. მოწვევამ ევროპის ქვეყნებიდან აქტიური გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა.

ნიდერლანდების ოლიმპიური კომიტეტი და მისი სპორტული ფედერაციები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მთელს ევროპაში. ისინი უხელმძღვანელებენ მეორე თამაშებს და, ჩემი ღრმა რწმენით, კარგი კანდიდატები არიან. თამაშები უდავოდ დიდ როლს შეასრულებს ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა გაფართოების საქმეში.

ევროპის მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების მაღალ დონეზე ჩატარება დიდად იქნება დამოკიდებული ჰოლანდიელთა ენთუზიაზმსა და ცოდნაზე.

დოქტორი ჟ. როგე,
ეოკების ევროპის ასოციაციის პრეზიდენტი.

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები (ეაოდ)

ამონაწერი ქარტიიდან

● **ეაოდი** ჩატარდება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, დაწყებული 1991 წლიდან. 1993 წლიდან ჩატარდება ეაოდის ზაფხულისა და ზამთრის დღეები.

● **ეაოდის** პერიოდს განსაზღვრავს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც დამტკიცდება ევროპის ეოკთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

ეაოდის ხანგრძლივობაა მაქსიმუმ 6 დღე, რომელთაგან 4 დღე დაეთმობა შეჯიბრებებს.

● **ეაოდის** ტერიტორიაზე აკრძალულია ყველა სახის პოლიტიკური, რელიგიური და რასობრივი პროპაგანდა.

● **გამარჯვების** ცერემონიალი შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ უნდა გაიმართოს შეჯიბრების ადგილზე. პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული მონაწილეები თავიანთი გუნდის სპორტულ ფორმაში იკავებენ შესაბამის ადგილებს კვარცხლბეკზე მთავარი ტრიბუნის პირდაპირ. ნიდერლანდების ეოკის საორგანიზაციო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს ევროპის ეოკთა ასოციაციის დროშის, ოლიმპიური ჰიმნის ან ეროვნული დროშების და ჰიმნების გამოყენების თაობაზე.

ეროვნული დროშებისა და ჰიმნების გამოყენების შემთხვევაში ცენტრალურ ანძაზე აფრიალდება გამარჯვებული დელეგაციის დროშა, ხოლო მის მარცხნივ და მარჯვნივ მოთავსდება მეორე და მესამე ადგილზე გასული დელეგაციების დროშები. ჰიმნის დაკვრისას მედლის მფლობელები პირისპირ უნდა დადგნენ დროშებთან.

● **ახალგაზრდული** ოლიმპიური დღეების მსვლელობისას მონაწილეთა ტანსაცმელზე, სპორტულ იარაღებსა და მათ მფლობელობაში არსებულ სხვა ნივთებზე იკრძალება ნებისმიერი სახის პუბლიკაცია და პროპაგანდა კომერციული ან სხვა მიზნით, გარდა მწარმოებელთა სავაჭრო ნიშნისა, რომლის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 სმ²-ს.

ამ დებულების რომელიმე ნაწილის დარღვევა გამოიწვევს დისკვალიფიკაციასა და აკრედიტების გაუქმებას.

● **ნებისმიერი** თილისმა, რომელიც ახალგაზრდული დღეებისათვის შეიქმნა სოკის ნებართვით, ჩაითვლება ოლიმპიურ ემბლემად. ამ თილისმის ან ემბლემის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის ნებადართულია ნიდერლანდების ეოკის საორგანიზაციო ოლიმპიური კომიტეტის თანხმობის შემთხვევაში, ნიდერლანდების საორგანიზაციო კომიტეტი გამოძებნის შეთანხმებას თუ მას სურს, რომ ესა თუ ის ემბლემა ან თილისმა შესაბამისი ეოკის მიერ, მის საზღვრებს გარეთ, გამოყენებული იქნას კომერციული მიზნებისათვის.

● **ნებისმიერი** სახის სპონსორული შეთანხმება ნიდერლანდების ეოკს საორგანიზაციო კომიტეტთან, დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს სოკს.

● **მუდმივ** კომისიას უფლება აქვს გააუქმოს აკრედიტაცია და საშვი ნებისმიერ იმ პირზე, რომელიც დაარღვევს ოლიმპიური დღეების წესდებას. ამასთან ერთად სპორტსმენი ან გუნდი შესაძლოა ამ შემთხვევაში დისკვალიფიცირებული იქნას და დაკარგოს მოპოვებული ადგილი, ჩამოერთვას მედლები.

ამ შემთხვევაში გამოქვეყნდება ახალი ფინალური შედეგების სია და მედლები ხელმეორედ გადანაწილდება.

დოპინგის ანალიზები ნიდერლანდების ეოკის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ჩატარდება სოკის წესდების შესაბამისად.

ანალიზები უნდა ჩატარდეს სპორტის ყველა სახეობაში. ნიდერლანდების ეოკის საორგანიზაციო კომიტეტმა, ანალიზთა რაოდენობა განსახილველად უნდა წარუდგინოს ეოკის აღმასრულებელ კომიტეტს ამავე ასოციაციის სამედიცინო და სამეცნიერო კომისიასთან კონსულტაციის საფუძველზე.

ვალკენსვაარის ... [illegible]

ამონაწერი დებულებიდან

პროგრამა

მძლეოსნობა. მონაწილეობენ 1976 წელს და შემდეგ წლებში დაბადებული გოგონები და ბიჭები. **გოგონები:** 100, 200, 400, 800, 1500 მ., თარჯრბენი — 100 მ. ესტაფეტა 4X100 მ., სიმაღლეზე ხტომა, სიგრძეზე ხტომა, ბადროს ტყორცნა, შუბის ტყორცნა. **ბიჭები:** 100, 200 400, 800, 1500 მ., თარჯრბენი — 110 და 200 მ., ესტაფეტა—4X100., სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა, ჭოკით ხტომა, ბადროს ტყორცნა, შუბის ტყორცნა. თითოეულ დისციპლინაში ყოველი ეოკიდან დაიშვება მხოლოდ ერთი მონაწილე. ყოველ მონაწილეს უფლება ეძლევა იასპარეზოს 2 ინდივიდუალურ შეჯიბრებაში და ესტაფეტაში.

კალათბურთი. მონაწილეობენ 1975 და შემდგომ წლებში დაბადებული ბიჭები.

ველოსპორტი. მონაწილეობენ 1977 და შემდგომ წლებში დაბადებული ბიჭები.

ფეხბურთი. მონაწილეობენ 1977 წლის 1 აგვისტოს და შემდგომ წლებში დაბადებული ბიჭები. თამაშის დრო ორი 45-წუთიანი ტაიმი.

ტანვარჯიში. მონაწილეობენ 1979-1980 და 1981 წლებში დაბადებული გოგონები. პროგრამა: დვირი, ორძელი, თავისუფალი ვარჯიში. თუ შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყანა იქნება 30-ზე მეტი, თითოეული ეოკიდან მონაწილე — 2, სათადარიგო — 1. თუ 30-ზე ნაკლები ქვეყანა იქნება: თითოეული ეოკიდან მონაწილე — 3. სათადარიგო — 1.

მინდვრის ჰოკეი. მონაწილეობენ 1978 და შემდგომ წლებში დაბადებული გოგონები. თამაშის დრო ორი 35-წუთიანი ტაიმი. გამარჯვება — 2 ქულა, ფრე — 1, წაგება — 0.

ძიუდო. მონაწილეობენ 1978 წელს და შემდგომ წლებში დაბადებული გოგონები, 1976 წელს და შემდგომ წლებში დაბადებული ბიჭები. **წონები.** გოგონები: 44, 48, 52, 56, 61 კგ. 66 კილოგრამამდე და 66 კილოგრამს ზევით. ბიჭები: 45, 50, 55, 60, 65, 71 კგ. 78 კილოგრამამდე და 78 კილოგრამს ზევით. შეჯიბრების ხანგრძლივობა: გოგონებისთვის — 4 წთ; ბიჭებისთვის — 5 წთ.

ცურვა. მონაწილეობენ 1980 და შემდგომ წლებში დაბადებული გოგონები. 1978 და შემდგომ წლებში დაბადებული ბიჭები. პროგრამა: 100 და 200 მ. თავისუფალი სტილი, 100 და 200 მ. ბრასი, 100 და 200 მ. ბატერფლაი, 200 მ. გულაღმა ცურვა, 200 მ. კომპლექსური ცურვა, 4X100 მ. თავისუფალი სტილით ესტაფეტა, 4X100 მ. კომბინირებული ესტაფეტა. პროგრამა გოგონებისა და ბიჭებისთვის ერთნაირია.

ყოველ მონაწილეს უფლება ეძლევა გამოვიდეს 2 ინდივიდუალურ შეჯიბრებასა და 2 ესტაფეტაში.

ჩოგბურთი. მონაწილეობენ 1978 და შემდგომ წლებში დაბადებული გოგონები და ბიჭები. პროგრამა: ერთეულთა, წყვილთა და შერეულ წყვილთა შეხვედრები. სრული მატჩები —2 სეტი. 30 ან მეტი ქვეყნის მონაწილეობის შემთხვევაში იასპარეზებენ — გოგონა — 1, ბიჭი — 1; 20-ზე მეტი და 30-ზე ნაკლები ქვეყნის წარმომადგენლობით — გოგონა — 2, ბიჭი — 1 ან გოგონა — 1, ბიჭი — 2 (არჩევით); 20 ქვეყნის ან 20-ზე ნაკლები ქვეყნის მონაწილეობით — გოგონა — 2, ბიჭი — 2.

ფრენბურთი. მონაწილეობენ 1977 და 1978 წლებში დაბადებული გოგონები.

შენიშვნა: საქართველოს სპორტსმენთა მზადების ხელმძღვანელობის საორგანიზაციო კომიტეტი, მძლეოსნობისა და ცურვის ფედერაციებთან ერთად ნაკრებ გუნდებში კანდიდატების შესარჩევად იხელმძღვანელებენ პირველი ოლიმპიური დღეების შეჯიბრებისას ნაჩვენები შედეგებით.

ევროპა გაგვიცნობს

რედაქციის სტუმარია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეებისათვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი ემზარ ზენაიშვილი.

● **ბატონო ემზარ, მოკლედ, თუ შეიძლება, საერთაშორისო სპორტული თამაშების კალენდარში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების შეტანის თაობაზე.**

— ვფიქრობ, მკითხველისათვის ცნობილია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტრუქტურაში შექმნილია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების კონტინენტალური ასოციაციები — ევროპის, აზიის, აფრიკის და ა. შ. ყოველი მათგანი ახალ ოლიმპიურ ციკლში ერთხელ ატარებს კონტინენტალურ თამაშებს ე. წ. კონტინენტის ოლიმპიურ თამაშებს (მაგ. აზიური, აფრიკული თამაშები და ა. შ.). გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ეოკების ევროპის ასოციაცია, რომელიც, სხვათა შორის, დღეისათვის თავის რიგებში აერთიანებს 44 ქვეყანას.

ევროპაში 1991 წლიდან დაწყებული ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები. პირველად იგი ჩატარდა გასულ წელს ბელგიაში, ხოლო მომავალ წელს მეორედ ტარდება ჰოლანდიაში (ზაფხულის სახეობები), ხოლო ზამთრის სახეობებში კი პირველად 1993 წელს ჩატარდება იტალიაში.

● **ორიოდე სიტყვით ამ თამაშების შესახებ.**

— თამაშები ტარდება სოკის პატრონაჟობით და ეოკების ევროპის ასოციაციის ეგიდით — მკაცრად რეგლამენტირებული დებულებითა და წესებით, რომლებიც მთლიანად თავსდებიან ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნათა ფარგლებში. [illegible]

— როგორც უკვე ითქვა, ზაფხულის თამაშები ჩატარდება მომავალი წლის 3-9 ივლისს ჰოლანდიის დასახელებულ პუნქტ ვალკენსვაარში (იგი ქ. ეინდჰოვენიდან 15 წუთის სავალზეა ავტომანქანით) სპორტის შემდეგ სახეობებში: მძლეოსნობა, კალათბურთი (ვაჟები), ველოსპორტი (ვაჟები), ფეხბურთი (ვაჟები), სპორტული ტანვარჯიში (გოგონები), მინდვრის ჰოკეი (გოგონები), ძიუდო (გოგონები და ვაჟები), ცურვა, ჩოგბურთი, ფრენბურთი (გოგონები). მონაწილეთა ასაკი (სპორტის სახეობათა მიხედვით) მერყეობს 12-დან 18—წლამდე.

ზამთრის სახეობებში თამაშები ჩატარდება მომავალი წლის თებერვალში იტალიაში, აოსტაში, ფიგურულ სრიალში, ბიატლონში, სამთოსათხილამურო სპორტში, სათხილამურო რბოლებში, ციგაობაში.

● **რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თამაშებში სპორტის სათამაშო სახეობებში მონაწილეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შეზღუდვებია.**

— სამწუხაროდ ასეა. თამაშების ორგანიზატორები სპორტის სათამაშო სახეობებში იწვევენ მხოლოდ 8 გუნდს, აქედან ერთი გუნდი მასპინძლებს, ე. ი. — ჰოლანდიელებს ეყოლებათ. დანარჩენი 7 გუნდი შეირჩევა ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთსა და მინდვრის ჰოკეიში, საორგანიზაციო კომიტეტის შეხედულებისამებრ, სპორტის შესაბამისი სახეობების მიხედვით, ევროპულ ფედერაციებთან მათი კონსულტაციების შემდეგ. ამავე დროს არის ისეთი პირობაც, რომ თამაშებში მონაწილე ყოველი ქვეყანა ერთ სათამაშო სახეობაში მაინც მიიღებს მონაწილეობას. ჩვენ დაინტერესებული ვართ თამაშების მიღმა არ დარჩეს სპორტის არცერთი სათამაშო სახეობა და განაცხადი ოთხივე გუნდზე მივეცით. მაგრამ არ მიწყენენ მინდვრის ჰოკეისტები და ფრენბურთელი გოგონები, საქართველოში ფეხბურთისა და კალათბურთის ტრადიციებისა და საერთაშორისო არენაზე მათ მიღწევათა გათვალისწინებით, პოპულარობიდან გამომდინარე და ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით გუნდების დაშვების მკაცრად შეზღუდვის პირობებში, თუ ჰოლანდიაში მიწვეული იქნებიან სწორედ ჭაბუკი ფეხბურთელები და კალათბურთელები. ამის თაობაზე ჩვენ სპეციალური წერილითაც მივმართეთ თამაშების ორგანიზატორებს, ალტერნატიული ვა- [illegible]

— უკვე შეიქმნა ევროპის მე-2 ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში რესპუბლიკის სპორტსმენების მონაწილეობის მზადების საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, ოლიმპიური კომიტეტისა და შესაბამისი სპორტული ფედერაციების წარმომადგენლები; დამტკიცდა მზადების გეგმა, ამ დღეებში გაფორმდება ხელშეკრულებები ფედერაციებსა და საორგანიზაციო კომიტეტს შორის. დრო არც თუ ისე ბევრია, ხოლო ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა კი ძალზე დიდია, მათ შორის ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათისა. მთავარი მაინც, როგორც ყოველთვის, აუცილებელია თამაშებისათვის მზადების ფინანსური უზრუნველყოფა.

● **ყველაფერი მაინც ფინანსებთან მიდის...**

— ოლიმპიურ დღეებში რომ მონაწილეობა უნდა მივიღოთ, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. უამრავ პოზიტიურ მომენტთან ერთად ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ თამაშებში მონაწილე რამდენიმე სპორტსმენი შეიძლება ვიხილოთ 1996 წელს ატლანტაში საქართველოს ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში, ბევრი მათგანი კი ორი ათასი წლის თამაშებისათვის იქნება მზად.

ფინანსებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემების გადაჭრა მოგვიწევს. მარტო ჰოლანდიაში ჩვენი გუნდის მიღებისათვის ოლიმპიური დღეების საორგანიზაციო კომიტეტში უნდა შევიტანოთ დაახლოებით 20 ათასი დოლარი (150 ეკიუ ყოველ მონაწილეზე) ამას დაუმატეთ გუნდის მგზავრობის, ეკიპირების და, რაც მთავარია, მზადების ხარჯები. ჩვენ ვიცით სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ხელმძღვანელობის, პირადად მინისტრის ბატონ კახი ასათიანის, სეოკის ხელმძღვანელების, პირადად პრეზიდენტის ქ-ნი ნონა გაფრინდაშვილის, ფედერაციათა ხელმძღვანელების პოზიცია [illegible]

როგორ ემზადებით?

[illegible]

პასუხები ფედერაციებიდან

[illegible]



ოლიმპიური დღეების ეს სიმბოლოა, რომელიც ... [illegible]



იმედით გისტუმრებთ!

მკლავით ბიჭებო, მკლავით!..

8-5 ნოემბერს ჟენევაში გაიმართება მკლავჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს. შვეიცარიაში" გამგზავრების წინ გვესაუბრება საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი, ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ვახტანგ მუხელიანი.

● ბატონო ვახტანგ! პირველ ყოვლისა, გილოცავთ საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევას — თქვენ კრწანისის რაიონის დეპუტატი ბრძანდებით.

— დიდი მადლობა მოლოცვისთვის, ცხადია, ვგრძნობ და ვიცი, რა დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა, მით უმეტეს, ასეთ რთულ დრო-ვითარებაში, მაგრამ ყოველნაირად ვეცდები, ჩემს ამომრჩევლებს იმედი არ გავუცრუო.

● საქართველოს მკლავჭიდელებმა წარმატებებით გაანებივრეს გულშემატკივრები. ბუნებრივია, ისინი თქვენს ახალ გამარჯვებებს ელიან. როგორ მოემზადა გუნდი, ამჯერად რისი იმედი გაქვთ?

— ბიჭებმა თავდაუზოგავად ივარჯიშეს, ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ საქართველო ასახელონ, მაგრამ, მოგეხსენებათ, სპორტი სპორტია, წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება. ერთი კი ვიცით — უშეღავათო ბრძოლა მოგველის. გეტყვით იმასაც, რომ ცოტა არ იყოს, მსაჯთა „შეთქმულების“ გვეშინია.

● რამდენი სპორტსმენი დაიცავს საქართველოს ღირსებას?

— გუნდის შემადგენლობაში თერთმეტი მკლავჭიდელია, ისინი თითქმის ყველა კატეგორიაში იასპარეზებენ. დავძენ, რომ ჩვენს გარდა ჟენევაში 70-მდე ქვეყნის წარმომადგენლები გამოვლენ. მეტოქეთა შესაძლებლობანი ჩვენთვის ძირითადად ცნობილია, ეგაა, არ ვიცით, ვის ჩამოიყვანენ ამერიკელები.

● უცხოეთში გუნდის გაგზავნა ჩვენში დღესდღეობით უამრავ პრობლემასთან არის დაკავშირებული...

— მწარე სიმართლეა. საზღვარგარეთ გამგზავრების ორგანიზაციას ათასი საფიქრალ-საზრუნავი უძღვის. მოსკოვამდე უფრო გვიჭირს მგზავრობა, ვიდრე რუსეთის ფარგლებს გარეთ. ბედნიერი იქნებიან ის თაობები, პირდაპირ თბილისიდან რომ იფრენენ სასურველ ქალაქამდე.

● ანაზღაურება როგორი აქვთ ჩვენს მკლავჭიდელებს?

— თუ სპონსორი გვწყალობს, ნორმალური, თუ არა და...

● ვიცით, რომ გადაწყვეტილი იყო მკლავჭიდელთა ევროპის 1993 წლის ჩემპიონატის თბილისში ჩატარება, მაგრამ შემდგომ თქვენვე განაცხადეთ უარი ამაზე.

— დიახ, უარი ვთქვით, რადგან ევროპის ჩემპიონატის ჩატარება ახლანდელ ვითარებაში ძალიან გაგვიჭირდება.

● ქალთა ნაკრების შექმნაზე რა აზრის ბრძანდებით?

— ქართველ ქალებს გული არ მიუწევთ ამ სახეობისკენ. ისე, მე თუ მკითხავთ, სპორტის ძალისმიერი სახეობები უფრო კაცთა საქმეა. თავად განსაჯეთ: მკლავჭიდში საჭიროა უჩვეულო ღონე, სისწრაფე, ხასიათის სიმტკიცე, რა თქმა უნდა, ტაქტიკური აზროვნებაც.

● ნათქვამს რამეს ხომ არ დაუმატებდით?

— საქართველო, ქართველობა უმძიმეს ვითარებაშია. ამიტომაც გვინდა, გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ, თვისტომთ მცირე სიხარული მივანიჭოთ.

ერთსაც დავძენდი: ორგანიზაციული და ფინანსური საკითხების მოგვარებაში დიდად დაგვეხმარნენ ბატონები: თენგიზ სიგუა, კახი ასათიანი, გივი მაისურაძე, ზურაბ ვაშაკიძე, ავთანდილ საყვარელიძე, „ივერთბანკის“ ხელმძღვანელობა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

ესაუბრა მარიკა ხიდურელი, ასოციაცია „ფალავანის“ დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სპორტული ჟურნალისტიკის I კურსის სტუდენტი.

ოთარ გიგოლაშვილი



შეუძლებელია, კაცი ვერაზე გაიზარდოს და ერთხელ არ წაუცდეს ბურთისკენ ფეხი. ოთარ გიგოლაშვილმა, რაკი ამ „ტყავის ჯადოს“ გაუგო გემო, უმეგობრა და სიკვდილამდე არ უღალატა მას. სიკვდილი კი ნაადრევად წამოეწია, 38 წლის ასაკში.

როგორც ფეხბურთელმა, თბილისის ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში აიდგა ფეხი ვლადიმერ ელოშვილის ხელმძღვანელობით და მალე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება: მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც ითამაშა გდრ-ის, თურქეთისა და ავსტრიის გუნდების წინააღმდეგ. 1972-74 წლებში თბილისის „დინამოში“ გამოდიოდა, მაგრამ მოურჩენელმა, ხანგრძლივმა ტრავმებმა ჩამოაცილა დიდ ფეხბურთს. შემდეგ ლანჩხუთის „გურიის“, სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „სპარტაკის“ ღირსებას იცავდა და ყველგან თავისი კვალი დატოვა — ნიჭიერი და შედეგიანი ფეხბურთელისა.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას მიჰყო ხელი. აქაც ნაყოფიერად საქმიანობდა. ამაყობდა, ტყუპები — შოთა და აჩიკო არველაძეები მე გავზარდეო. მათ გარდა ჯუმბერ ჩუხუა და ზვიად პაპიძე („მრეტები“, თბილისი), გიორგი ღუდუშაური („გორდა“, რუსთავი) და არაერთი სხვა პერსპექტიული ფეხბურთელი დააკვალიანა.

ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში — „ავაზაში“, 35-ე სკოლაში, „შევარდენში“ დღესაც ახსოვთ ოთარ მასწავლებელი — საქმის მცოდნე, ბავშვების მოსიყვარულე პედაგოგი. ბოლოს თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა კლუბთან არსებულ გუნდ „იბერიას“ ავარჯიშებდა.

იმ დღესაც ვარჯიშიდან მოდიოდა...

ვაგლახ, მეორე დილით ამაოდ უცდიდნენ ნორჩი შეგირდები ოთარ მასწავლებელს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

მხოლოდ გამარჯვებულები ● ძიუდო

დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის ტურნირი ძიუდოში 1976-1977 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. გორი. 140 მონაწილე.

45 კგ. ნიკოლოზ ზაუტაშვილი (გორი), 50. მამუკა მათიაშვილი (საგარეჯო), 55. გოჩა თოთლაძე (ქარელი), 60. დავით კატანაშვილი (გორი), 65. აბესალომ გვარლიანი (თბილისი), 71. ემზარ მეტრეველი (რუსთავი), 78, ივერი ჯიქურაული (დუშეთი), 88. ზვიად მეტონიძე (ქუთაისი), +88. დავით ჩუბინიძე (თბილისი).

დურმიშხან ბერუაშვილის პრიზი გადაეცა ქუთაისელ ზვიად მეტონიძეს.



ლიდერის ყვითელი მაისური... რომის პაპს

რომის პაპი იოანე პავლე II, საჯარო აუდიენციისას, შეხვდა და ესაუბრა ცნობილ ესპანელველომრბოლს, სეზონის უმთავრესი შეჯიბრებების — „ტურ დე ფრანსის“ და „ჯირო დ“იტალიის“ გამარჯვებულს მიგელ ინდურაინს. მრბოლმა პაპს საჩუქრად გადასცა... ლიდერის ყვითელი მაისური და სამთო ველოსიპედი.

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

განვლილ ოთხშაბათს ევროპის სტადიონებზე გაიმართა 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის 4 შეხვედრა საკვალიფიკაციო ჯგუფებში.

II ჯგუფი

თურქეთი — სან-მარინო 4:1 (1:0). გოლები: მასპინძელთაგან — ხაკანი (2), ორჰანი, ჰამი; სტუმართაგან — ბაკიოჩი.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ნორვეგია	4	3	1	0	15—2	7
პოლონეთი	2	1	1	0	3—2	3
თურქეთი	2	1	0	1	4—3	2
ინგლისი	1	0	1	0	1—1	1
ჰოლანდია	2	0	1	1	3—4	1
სან-მარინო	3	0	0	3	1—16	0

III ჯგუფი

ლიტვა — ლატვია 1:1 (0:1). გოლები: მასპინძელთაგან — ფრიდრიკასი; სტუმართაგან — ლინარდსი.

ირლანდია	3	2	1	0	6—0	5
ლიტვა	5	1	3	1	5—5	5
ჩრ. ირლანდია	3	1	2	0	5—2	4
ესპანეთი	3	1	2	0	3—0	4
დანია	3	0	3	0	0—0	3
ლატვია	5	0	3	2	2—7	3
ალბანეთი	4	1	0	3	1—8	2

V ჯგუფი

რუსეთი — ლუქსემბურგი 2:0 (2:0). გოლები: იურანი, რადჩენკო.

რუსეთი	2	2	0	0	3—0	4
საბერძნეთი	2	2	0	0	2—0	4
უნგრეთი	2	1	0	1	4—2	2
ისლანდია	4	1	0	3	2—4	2
ლუქსემბურგი	2	0	0	2	0—5	0

VI ჯგუფი

ავსტრია — ისრაელი 5:2 (2:0). გოლები: მასპინძელთაგან — ჰერცოგი (2), პოლსტერი, შტეგერი, ოგრისი; სტუმართაგან — ზოხარი (2).

ბულგარეთი	3	2	0	1	5—2	4
შვეცია	2	2	0	0	3—0	4
ავსტრია	2	1	0	1	5—4	2
საფრანგეთი	2	1	0	1	2—2	2
ისრაელი	1	0	0	1	2—5	0
ფინეთი	2	0	0	2	0—4	0

გახსენება

გიორგი ლაზრიშვილი

რა უნდა მოესწრო თითქოს, დღეს, 31 ოქტომბერს 21 წელი შეუსრულდებოდა...

არადა, მოასწრო, ბევრის გაკეთება მოასწრო, რადგან ყველაზე ძნელი გზით, მართლკაცობისა და ვაჟკაცობის გზით იარა. შარშან უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე აპირებდა სწავლის გაგრძელებას, მაგრამ, რომ გაიგო, გვარდია ყალიბდებაო, ყველაფერი გვერდზე გადადო და მაისში ქართველ მეომართა რიგებს შეუერთდა. ოზურგეთის ბატალიონში მსახურობდა, სპეცდანიშნულების ოცეულის მეთაური იყო. მუდამ იქ ნახავდით, სადაც ქვეყნის ბედი წყდებოდა, სადაც მრუდე მართალს დასაჩაგრად მიეძალებოდა... რკონის ხეობა, შავნაბადა, ტელევიზია, თბილისის ზღვა, მთავრობის სასახლე და... 22 დეკემბრის დილა უკანასკნელი აღმოჩნდა მისთვის.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვასილ ლაზრიშვილის უფროსი ვაჟი, ალნაგი, ღონიერი, მოქნილი, თითქოს ჭიდაობისთვის იყო გაჩენილი. აქი გამოიჩინა კიდეც თავი საყვარელ სახეობაში — ძიუდოში. საქართველოს ჩემპიონი იყო ახალგაზრდებს შორის, საკავშირო ტურნირებშიც არაერთხელ უსახელებია სამშობლო. ჭაბუკ სპორტის ოსტატს სპორტშიც თავისი გეგმები და მიზნები ჰქონდა დასახული, მაგრამ...

რომ ეცოცხლა, ახლაც იქ იქნებოდა, სადაც სამშობლოს უჭირს. გიორგი ლაზრიშვილისთვის სამშობლოს ბედისთვის თავგანწირვა გახლდათ უზენაესი ვალი.

თანაგუნდელები და თანამებრძოლები

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ზაგრები. ხორვატიის ფეხბურთელებმა აქ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს მექსიკელებთან. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს ხორვატიელებმა, ბურთები გაიტანეს სუკერმა (2) და რაკუნიცამ.

● ვლადიმირი. 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუსეთისა და საბერძნეთის გუნდებს შორის გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1.

● მინსკი. ფრედ — 1:1 დამთავრდა ბელარუსისა და უკრაინის ფეხბურთელთა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა. მასპინძელთა მიერ 56-ე წუთზე გატანილი გოლი (გოცმანოვი) მაქსიმოვმა გაქვითა 76-ე წუთზე.

● ჩეხეთ-სლოვაკეთის ორ სახელმწიფოდ გაყოფასთან დაკავშირებით სლოვაკეთში ემზადებიან დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატისთვის. პროექტის მიხედვით სლოვაკეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ითამაშებს 12 გუნდი, გათამაშება მოეწყობა შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით, თავდაპირველად გაიმართება ორწრიანი ტურნირი, რის შემდეგ 6 საუკეთესო გუნდი იბრძოლებს ჩემპიონის ტიტულისთვის.

● ბარსელონა. ესპანეთის სუპერთასის პირველ მატჩში ჩემპიონმა — „ბარსელონამ“ ანგარიშით 3:1 დაამარცხა თასის მფლობელი მადრიდის „ატლეტიკო“. საპასუხო შეხვედრა გაიმართება მადრიდში 11 ნოემბერს.

● ბუქარესტი. რუმინეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა მოუგო მექსიკელ თანატოლებს — 2:0.

● იტალიის თასის გათამაშების მეოთხედფინალში 27 იანვარს და 10 თებერვალს ითამაშებენ: „მილანი“ — „ინტერი“, „რომა“ — ნაპოლი“, „ტორინო“ — „ლაციო“, „იუვენტუსი“ — „პარმა“ ან „ვენეცია“.



ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

აკ. წერეთლის გამზირი № 2

ფეხბურთი

1992-93 წლების საქართველოს ჩემპიონატი (უმაღლესი ჯგუფი)

7 ნოემბერი

„მრეტები“ (თბილისი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი)

9 ნოემბერი

„დინამო“ (თბილისი) — „ცხუმი“ (სოხუმი)

თამაშების დასაწყისი 15 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 7 და 9 ნოემბერს 11 საათიდან.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14, ტელ.: 99-56-47, 99-81-71. ინდექსი 66435 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში.